პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 20 აპრილი № 91 (16521) ფასი 2 კაპ. 1976

მომჭირნეობა — ყველგან, ყველაფერში

ბოცა საქართველოს ხამრეწველო საწარმოთა კოლექტივები მეათე ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებებს კისრულობდნენ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1976-1980 წლების განვითარების ძირითად მიმართულებებში აღნიშნულ დებულებებზე, რომ არსებითად ავამაღლოთ წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონე, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და გავუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის საქმე, კვლავაც ხელულყოთ შრომის ორგანიზაცია და განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა.

ყველა ამ ღონისძიებას აქვს საერთო რაოდენობრივი განზომილებადი შედეგი, რომელიც განსაზღვრავს მათს ეფექტიანობას. ეს არის მატერიალურ-ფინანსური, შრომითი რესურსების დაზოგვა, ეკონომია, მომჭირნეობა.

შრომელთა კეთილდღეობისათვის რომ ზრუნავს, პარტია რაზმავს ხალხთა ადამიანებს წარმოების ინტენსიფიკაციის საკვანძო პრობლემების გადაჭრისათვის, რაზედაც, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლება. „პრობლემის არსი ის არის — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების დანახარჯების თვითეულს ერთეულზე მივაღწიოთ წარმოების მოცულობისა და ეროვნული შემოსავლის არსებით ზრდას“.

ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი... ეს სიტყვები, რომლებიც ყამოხატავენ მეათე ხუთწლედის მთავარ მიზანს, იმას ნიშნავს, რომ თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა, ყოველმა შრომითმა კოლექტივმა თავდადებულად უნდა იბრძოლოს უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის.

რაც დრო გადის, ქვეყნის მოთხოვნილებანი ნედლეულზე, ენერგიაზე ეგნუწყვეტლივ მატულობს, მათი წარმოება კი სულ უფრო ძვირი ჯდება. მაშასადამე, იმისათვის, რომ მეტისმეტად არ გავადიდოთ კაპიტალური დაბანდება, საჭიროა მივაღწიოთ რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას. კერძოდ, პროდუქციის მასალატევადობის შემცირების, უფრო იაფი და ეფექტიანი მასალების გამოყენების, აგრეთვე მათი მომჭირნედ ხარჯვის გზით.

მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაზე მიუთითებს ასეთი ფაქტი: მატერიალური დანახარჯების თუნდაც ერთი პროცენტით შემცირებამ, წარმოების აწლანდელი მასშტაბის პირობებში, ჩვენს ეროვნულ შემოსავალს 50 მილიონი მანეთით გაზრდიდა. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს.

ჯერჯერობით კვლავ დიდ ზარალს ვნახულობთ ხამუშაო დროის დანაკარგების შედეგად. მეცხრე ხუთწლედში უქმად დაკარგული დროის გამო საქართველოს მრეწველობას დაკლდა 570 მილიონი მანეთის პროდუქცია, ანუ წარმოების მოცულობის თითქმის 40 პროცენტი.

ახლა, როცა საჭირო ანალიზი გავუკეთეთ მეცხრე ხუთწლედის დამთავრებელი წლის შედეგებს, ჩანს, რომ ბევრმა შრომითმა კოლექტივმა კარგ შედეგს მიაღწია მომჭირნეობასა და უკარნახობაში. მაგალითად, თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა შარშან დაზოგილი მასალებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. დიდძალი ზეგეგმითი მოგება მიიღო, გაიზარდა პრემიებისა და ერთდროული დახმარებების ფონდები. თვითეულმა მუშამ ნაყოფიერი მუშაობის სიკეთე იგრძნო.

ამ სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი განაგრძობს მომჭირნეობით მუშაობას. განვლილ სამ თვეში მან შეახვედრი გეგმის თითქმის ნახევარი — ათასობით მანეთის პროდუქცია დაზოგილი მასალებით გამოუშვა.

ეს კარგი და მისასალმებელია, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა ნედლეულისა და მასალების უყაირათო გამოყენებით, წუნდებული პროდუქციის გამოშვებით დიდძალი თანხები გადახარჯეს და ძმიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათ რიცხვს ეკუთვნიან ბარდანის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ და მრავალი სხვა.

საწარმოები განსაკუთრებით დიდ ზარალს ნახულობენ წუნდებული პროდუქციის გამოშვების გამო. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად გარკვეული მუშაობა ჩატარდა, მაგრამ მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა. ხარისხისნიშნიანი პროდუქცია წარმოების საერთო მოცულობაში საქართველოში დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენს, ხაკვშირო მასშტაბით კი — 7 პროცენტს, სამრეწველო წარმოების ამ პოზიციის მიხედვით რესპუბლიკას მე-14 ადგილი უჭირავს. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა მასობრივი პროდუქციის წარმოებაში. აქ ყოველი მეოთხე ნაკეთობა მდარე ხარისხისაა.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვების გამო ჯერ კიდევ დიდი დანაკარგები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საწარმოებში სუსტად ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, პროდუქციის უდელეტოდ დამზადების საერაკოვული მეთოდი. საორიენტაციო გზანაგრაშებიო, წუნით გამოწვეულმა ზარალმა კოლოსალურ თანხებს მიაღწია. ამ მხრივ მდგომარეობა შემაშფოთებელია. ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ შესაძლებლობებს, რომლებსაც დაგეგმვისა და ეკონომიური ბატმოლარიების სისტემა გვაძლევს, საჭიროა მანეთობით განვსაზღვროთ ნახალისების პრემიები, როგორც მაღალი ხარისხისათვის, ისე დასჯის ფორმები დაშვებული წუნისათვის.

მომჭირნეობისათვის თანმიმდევრული ბრძოლა სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მიზანია. „გავაკეთოთ არა მარტო მეტი — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — არამედ გავაკეთოთ უკეთ და უფრო მომჭირნედ — აი სად უნდა გადაინაცვლოს სოციალისტურ ვალდებულებათა ცენტრმა“.

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა, რომლებმაც წლევანდელი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, მთავარი ყურადღება დაუთმეს მომჭირნეობას. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დაზოგოს 40 ტონა შავი და 15 ტონა ფერადი ლითონები, 200 ტონა პირობითი საწვავი. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ქუთაისელმა ავტომშენებლებმა, რუსთაველმა მეტალურგებმა და სხვ.

მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომი განმტკიცება პარტიულ ორგანიზაციათა ღვიძლი საქმეა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მშრომელები ფართოდ ჩავაბათ აქტიურ ბრძოლაში შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნეობისათვის, სისტემატურად გამოვიტანოთ მასალების მომჭირნეობისათვის კომუნისტური შრომის სკოლებისა და ეკონომიური სემინარების მსმენელთა განსახილველად. დიდი ხარგებლობა მოაქვს რეზერვების საზოგადოებრივ დათვალიერებას, მეთაურობენ და წარმართავენ რა მთელ ამ მუშაობას, პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო აქტიურად უნდა იზრუნონ ნოვატორთა მხარდასაჭერად, გააძლიერონ კაბრეტის პასუხისმგებლობა, მკაცრად მოჰკითხონ ხელმძღვანელებს, რომლებიც შემრიგებლურად ეკიდებიან ნაკლოვანებებსა და დანაკარგებს.

მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ კვლავაც გაძლიერდეს ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი. ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძვლები, უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპი.

შინაგანი რეზერვების მობილიზაცია, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი ხელს შეგვიწყობს ვადამდე შეასრულოთ მეათე ხუთწლედი, ნახალ წარმატებებს მივაღწიოთ შეჯიბრებაში.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ, რომ განუხრელად იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა, დიდდებოდეს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ზეგეგმითი მარგანეცის ტონები

ჭიათურა. ქალაქის მრეწველობამ ექვსი დღით ადრე გაანაღდა კვარტალის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 950 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა 880 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

პირველი კვარტალის დავალების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ჭიათურის მარგანეცის სამთამადნო კომბინატის საწარმოების — ახალი ითხვისის, ლენინის, დიმიტროვის, სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოების, აგრეთვე კვარცის სილების გამამდიდრებელი და სამკერვალო ფაბრიკების, პურკომბინატის, ადგილმრეწველკომბინატის, ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ სამრეწველო საწარმოო კომბინატის კოლექტივებმა.

ჭიათურის მშრომელები პირველი ბანრილიდან საპირველმაისო შრომითის ვახტზე დადგნენ და დამკვრელური შრომას განაგრძობენ.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

პრაქტიკა მარგანეცის ტონები

17 აპრილს პირველად გაისმა სიმღერა თბილისის ოპერის ახალი მშენებარე თეატრის სცენაზე. მართალია, მისი მშენებლობა ჯერჯერობით მთლიანად არ არის დამთავრებული, მაგრამ თეატრის კოლექტივმა, რომელიც შაბათობაზე მოვიდა, შესვენების დროს მშენებლებს სახელდახელო კონცერტი გაუმართა.

— მეორე წელია, რაც ჩვენი კოლექტივი შაბათობას ამ მშენებლობაზე ატარებს, — გვითხრა თეატრის დირექტორ-განმკარგულებელმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოდავეწყმ ა. შანიძემ, — დღეს ჩვენი კოლექტივის ყველა წევრი გამოვდგა შაბათობაზე, დამკვრელურადაც ვიშრომეთ და პირველი კონცერტიც გავმართეთ...

ნამდვილი ენთუზიაზმი იგრძნობოდა ოპერის კოლექტივის მუშაობაში. სოლისტების, ორკესტრის, ბალეტის, გუნდის, საწარმოო-ტექნიკური პერსონალის რაზმეულები დილაადრიან დადგნენ შრომის ვახტზე, გაინაწილეს სამუშაო უბნები და დიდი საქმეც გააკეთეს.

თეატრის კოლექტივმა დაასრულა ობიექტის ტერიტორია და შენობის სამშენებლო უბნები. იარუსების შიხედვით დალაგდა სამშენებლო მასალები, დაბრალება გაუწია ძირითად მშენებლებს, — ოპერის კოლექტივის რაზმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყველამ თავი ისახელა, მაგრამ განსაკუთრებით მუყაოსად იშრომა რაზმეულმა, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. მუშკუდიანი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. ნადიბაიძე ხელმძღვანელობდნენ.

— კმაყოფილი ვარო ჩვენი სახელოვანი მსახიობების, შრომით, — თქვა სამშენებლო უბნის უფროსმა ვ. მახარაძემ, — კარგია, რომ მშენებლებს ყოველმხრივ გვეხმარებიან და ყურადღებას არ გვაკლებენ, ამის ნათელი დადასტურება იყო ეს შაბათობაც.

ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივს 17 აპრილს დაძღბული და შემოქმედების დღე ჰქონდა. სამშენებლო ბარჩოებიდან დაბრუნებულმა მსახიობებმა იმავე დღეს მაყურებელს უჩვენეს ბალეტის სალამი და შემოსული თანხა ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს.

(„კომუნისტის“ კორ.).

ოპერის ხარაჩოებზე

ანცერთი ჩამორჩენილი

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლებმა (მშენებლობის სამმართველოს უფროსი თ. გოგაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ე. ღარიბაშვილი) მეათე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე შემოქმედებითი შრომა გაიჩაღეს დავალებათა გადაჭრებით განაღდებისათვის. პირველი კვარტალის საბუშაოთა გეგმა განაღდებულია 104,3 პროცენტით. 1.470 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულდა 1.533 ათასი მანეთის სამუშაოები. აქედან საკუთარი ძალებით შესასრულებელი სამუშაოების მაჩვენებელი 100,3 პროცენტია, ხოლო მოიჯარადრე ორგანიზაციებისა — 106,4 პროცენტი. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს საინჟინრო ნაგებობათა სამმართველომ, მაღალი ძაბვის სპეციმიდრომონტაჟის, სპეცშახტმშენის № 1, 2, 3. და № 5 უბნების კოლექტივებმა.

მშენებელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა უახლოეს ხანში, გამოასწორონ მდგომარეობა ჩამორჩენილ უბნებში, რომ მეორე კვარტალის დავალება ყველა კოლექტივმა, ყველა უბანმა გადაჭარბებით განაღდოს.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რწყვა და მოსავალი

16 აპრილიდან 1 მაისამდე რწყვის ხაზონისათვის მზადყოფნის რესპუბლიკური შემოწმება-დათვალიერება

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს რწყვის დროულად და ორგანიზებულად მოწყობას. ეს ნათლად არის ასახული ხკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში. ახლა მეათე ხუთწლედში და განსაკუთრებით ხუთწლედის პირველ წელს უნდა გამოვლინდეს რწყვის მაღალი ეფექტიანობა და ხარისხი.

ჯერ კიდევ 1973 წელს რწყვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცა რეკომენდაციები გამომუშავების ნორმების, მრწყველთა შრომის ანაზღაურების შესახებ. მაგრამ შემჩნეულია, რომ ზოგან წყალსაჭიები ნორმალურად არ მუშაობენ, არის ავარიის შემთხვევები; ცუდად არის გამოყენებული სარწყავი ტექნიკა.

არის იმის ფაქტები, რომ ზოგიერთ ეკონომიებში არ არის შედგენილი გამომუშავების ნორმები, აკლიათ მრწყველთა კადრები.

არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით არის ზემდგომი ორგანოების დადგენილება 1976 წლის 16 აპრილიდან 1 მაისამდე რესპუბლიკაში რწყვის სეზონისათვის მზადყოფნის შემოწმება-დათვალიერების მოწყობის შესახებ. ეს ღონისძიება მოეწყობა სარწყავი მიწის მქონე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებში.

რწყვის სეზონისათვის მზადების შემოწმება გამოავლენს, თუ ვინ როგორ არის მზად და ვინ ჩამორჩება, რა დამატებითი ზომების მიღება იქნება საჭირო რწყვის სეზონის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

16 აპრილიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა რაიონებში მიავლინეს სპეციალისტები, რომლებიც ადგილობრივ ორგანიზაციებს დახმარებას გაუწევენ რწყვის სეზონისათვის მზადყოფნის შემოწმება-დათვალიერებაში. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები.

რწყვის სეზონისათვის მზადყოფნის შემოწმება-დათვალიერება დაწყებულია. პირველ მაისამდე დარჩენილ დღეებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება. ამ საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებაზე.

ბეჭედი, ხარისხი

დათესილია 91.070 ჰექტარი

დადგა საგაზაფხულო კულტურების თესვის გადამწყვეტი პერიოდი. აპრილში დარჩენილმა დღეებმა ძირითადად უნდა დაგვიგვიანოს თესვის გეგმების შესრულება. მარტო აპრილის მეორე ხუთდღეურში საგაზაფხულო კულტურები 32.800 ჰექტარზე მიტია დათესილი. თესვის ტემპმა იმატა და ამ დღეებში ეს სამუშაო უფრო თავრთოდ გაიაღდა.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობები გვაუწყებს, რომ 12 აპრილისათვის რესპუბლიკაში სულ დათესილია 91.070 ჰექტარი, გეგმით კი უნდა დაითესოს 381.453 ჰექტარი. მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები დაითესა 12.035 ჰექტარი, გეგმით კი დასათესია 42.192 ჰექტარი. მზესუმზირის თესვის დავალება ამ დღეებში შესრულდება. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბოსტნეული, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, სიმინდის თესვა.

წლეულს დიდ ყურადღებას უთმობენ სამარცვლე სიმინდის აგროტექნიკურ ვადებში თესვას და უნვი მოსავლის მიღებას, რამაც უნდა შეავსოს საერთოდ მარცვლეულის წარმოებისა და დაშზადების ფონდი. სამარცვლე სიმინდი დათესილია 11.036 ჰექტარზე მეტი, გეგმით უნდა დაითესოს 102.509 ჰექტარი.

საგაზაფხულო თესვის ტემპი გაძლიერეს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებმა. მათ კარგად იციან, რომ თესვის აგროტექნიკური ვადები იწურება. სოფლის რაიონში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 8.858 ჰექტარი, გეგმა კი 13.841 ჰექტარის დათესვას ითვალისწინებს. წითელწყაროელებმა დათესეს 16.318 ჰექტარი, ანუ გეგმის 73 პროცენტი. თელაველებს გეგმა შესრულებული აქვთ 23 პროცენტით, ახმეტელებს — 58 პროცენტით, ყვარელებს — 30, თეთრწყაროელებს — 22, დმანისელებს — 42 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საგაზაფხულო კულტურები გეგმით დასათესია 7.442 ჰექტარი, დათესილია 1.315 ჰექტარი. თესვის ფრონტი გაფართოვდა ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, საგარეჯოს, გურჯაანის, ზუგდიდის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ოჩამჩირის, გალის, საჩხერის, ვანის, წულუკიძის და სხვა რაიონებში.

დიდი მუშაობა უნდა გასწიონ დასავლეთ საქართველოს მხვნელ-მთესველებმა, რადგან ისინი სამარცვლე სიმინდს დიდ ფართობებზე თესავენ. საჭიროა ვპრილის ყოველი დღე და საათიც კი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ახლა თესვა დამკვრელური შრომის მთავარი უბანია. ვოესოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად!

ნ. ჯანჯღავა.

მანაველთა ზვრებში

ბანავის მეგენახეობის ხაბჭოთა მეურნეობას (დირექტორი გ. ჯიმშელაძე) ზვრები 1300 ჰექტარზე აქვს გაშენებული. გასულ ზამთარში ძლიერი ყინვების შედეგად საგრძნობლად დაზიანდა 500 ჰექტარი ვენახი. გაზაფხულის დადგომისთანავე მთელმა სოფელმა ზვრებს მიაშურა. აგრარტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით მეცნიერთა რეკომენდაციის თანახმად პირველ რიგში გაისხლა გაუსხლავი ვენახები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოყინულ ვენახებში მინერალური სასუქების შეტანას. ერთთვიურთან დაკავშირებით მთელი ძალები და ტექნიკა მობილიზებულია ვენახებში სასუქების დროული შეტანისათვის, ამ მიზნით უკვე მინდვრად გატანილია 100 ტონა ორგანული სასუქი.

საგაზაფხულო სამუშაოების პარალელურად მეურნეობის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ყურადღება ამუამად ძირითადად მიმართულია სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად, რისთვისაც ყოველწლიურად ვაზის გადაწვენით, გამორგვითა და მხრის გაგრძელებით მეურნეობას ყოველწლიურად 500 ათასზე მეტი ძირი ვაზი შეემატება. ამ ღონისძიებების შედეგად სიმეჩხრე 5 პროცენტით შეამცირეს.

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში კარგი მდგომარეობაა ბასამ და მეოთხე აგროგანყოფილებებში (მმართველები თ. არუნაშვილი და გ. სამხარაშვილი). გამორჩეული ის ბრიგადები, რომლებსაც ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერები ვ. ბეჭარაშვილი და ც. კუბუბაშვილი ხელმძღვანელობენ. ასევე კარგი მდგომარეობაა ა. ბოროშვილის, გ. რუსიშვილის, ნ. აფციაურის და ვ. ყორღანაშვილის ბრიგადებში.

უკვე დამთავრდა სხვლა, ჭალმის გამოტანა და სხვა სამუშაოები. მეურნეობის მეტ წილ განყოფილებებსა და ბრიგადებში მიმდინარეობს გამობარვა, გამოთოხნა. ასევე დიდი სამუშაოები მიმდინარეობს სანერგე მეურნეობაში, სადაც ყოველწლიურად მილიონნახევარი საქმეყენო ცხობილი მანავის მწვანის ნერგი გამოჰყავთ.

მანაველთა ზვრებში საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი დღითიდღე ძლიერდება. („კომუნისტის“ კორ.).

თესავენ სიმინდს

ზესტაფონის რაიონის მხვნელ-მთესველები მასობრივად შეუდგნენ საგაზაფხულო კულტურების თესვას. მათ დროულად მოამზადეს ტექნიკა, მოლაპარაკეს დარაიონებული, კონდიციური თესლი, სიმინდის თესვა გაჩაღდა მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მეორესვირელები წლეულს გაზაფხულზე 310 ჰექტარ სიმინდს დათესავენ. აქ უნარიანად იყენებენ ყოველ ხელსაყრელ დღეს, ყოველ საათს. ამის შედეგად ამ კოლმეურნეობაში სიმინდი 100 ჰექტარზე მეტია დათესილი. მეორესვირელთა გადაწყვეტილებაა თესვა პირველ მაისამდე დაამთავრონ და ყველა პირობა შექმნან წლეულს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

* * *

ხურათებზე: ზემოთ — ზონის აგრონომი ბ. დათიაშვილი და მექანიზატორი თ. ცხადაძე თესვის წინ ამოწმებენ თესლის ხარისხს; ქვემოთ — სიმინდის თესვა მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ა. მაჰპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

18,19 აპრილი

„პრავდის“ ფურცლებზე

„ბუნების გამოუ ე ნ ე ბ ა სხვადასხვაგვარად შეიძლება, — ამბობდა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობისათვის წარდგენილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში. — შეიძლება — კაცობრიობის ისტორიას აქვს ამის ბევრი მაგალითი — შენს მეჯი დაბოვო უნაყოფო, უდაბური, ადამიანისადმი მტრული სივრცეები. მაგრამ შეიძლება და სამიროც არის, ამხანაგებო, გაკაკეთილოგიანოლოთ ბუნება, დავეხმაროთ ბუნებას უფრო სრულად გამოავლინოს თავისი ცხოველმყოფელი ძალები, არის ასეთი უბრალო, ყველასათვის ცნობილი გამოთქმა — „აუვავებული მხარე“. ასე უწოდებენ მიწებს, სადაც ადამიანთა ოფლია, გამოცდილება, ბუნებისადმი, მათი სიყვარული ბეშმარიტად სასწაულებს ახდენს. ეს ჩვენი სოციალისტური გზაა“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები მოყვანილია კვირის ნომრის მეთაურ წერილში („მშობლიური მიწა“), რომელიც ჩვენი ქვეყნის ბუნების დაცვას, მეათე ხუთწლედში ჩვენი ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას ეხება.

„მთელი ქვეყანა შაბათობაზეა!“ ამ საერთო სათაურით პირველ და მეორე გვერდებზე დაბეჭდილ წერილებსა და კორესპონდენციებში ლაპარაკია, თუ როგორ ჩაიარა ჩვენს ქვეყანაში მეათე ხუთწლედის პირველმა „წითელმა შაბათობამ“. „ნაყოფიერება უმაღლესი, ხარისხი ჩინებული!“ აი ამ დევიზით იშრომეს ჩვენმა ადამიანებმა. შაბათობის მონაწილე, კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი პ. გოგატიშვილი გაზეთის ფურცლებზე წერს: „შაბათობაზე ძალაძის ხუთი ათასი მცხოვრები გამოვიდა“.

ამასწინათ მოსკოვის ტანსაცმელი ფაბრიკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის სცენაზე განხორციელდა ვ. რუბინის ოპერის „ივლისის კვირადღის“ ახალი დადგმა. ამის გამო გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ო. თაბაშაძეშვილის რეცენზია — „სპექტაკლი გმირობაზე“.

კვირისაგან ნომერში მკითხველი ნახავს „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის ბ. ლებანიძის წერილს — „ბული აჩუქე ხალხს“ (ფორნალოტის ბლოკნოტიდან), რომელსაც დღეს „კომუნისტის“ მეოთხე გვერდზე წაიკითხავთ.

გუშინდელი ნომრის მოწინავეს („ძმური შეკავშირება“) გაზეთი სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობას უძღვნის.

ПРАВДА



სიტყვა კომუნიზმზე

„სიტყვა კომუნიზმზე“ — ასე ეწოდება მდიდრულად დასურათებულ ორ პატარა ტომს, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა ქართულ და რუსულ ენებზე.

ამ ტომებში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, რომელიც მან წარმოთქვა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მე-3 ყრილობაზე 1920 წლის 2 ოქტომბერს და ლ. ი. ბრეჟნევის მიერ 1973 წლის 23 აპრილს წარმოთქმული სიტყვა სრულიად საკავშირო ალკჟ XVII ყრილობაზე.

ტომების შემდგენელი და გამოცემაზე პასუხისმგებელია ო. ეგაძე, მხატვრები არიან: თ. სამსონაძე და ო. გორალევიჩი, გამომცემლობის რედაქტორები: ს. ხეტაშვილი და ვ. გუნია, მხატვრული რედაქტორია ო. ჯიმკარიანი, ტექრედაქტორი — რ. კოხრეიძე, გრაფიორი — ნ. მინინი, კორექტორები — ნ. ქარუმიძე და გ. სმოლენცევა.

ნ. ჯურაშვილი.

საქართველო — ტიროლი: კონტაქტები

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის განყოფილების დელეგაცია თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის განყოფილების დელეგაცია ტიროლის მხარის მთავრობის მეთაურის მოადგილის ფრიც პრიორის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან ინსბრუკის ბურგომისტრი ირტურ ჰაიდელი და ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის განყოფილების მდივანი ფრიც ელერი. ეს არის საქართველოს სახელმწიფ ო ს ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაციის ტიროლში ჩაბერის საპასუხო ვიზიტი.

19 აპრილს დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს ოთარ ანანიაშვილს. ეს ღონისძიება მოეწყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ამაღლებისა და ტურიზმის ფართოდ განვითარების, ტურისტული ბაზის ერთობლივ ექსპლუატაციის, ტურისტული ინფორმაციის, ტურისტული ბროშურების, ფილმების, ფოტოების, ფოსტალოტოების, ფოსტალოტოების, ფოსტალ

სამეურნეო ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

ᲙᲚᲔᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲡᲠᲣᲚᲕᲧᲝᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝᲛ ᲒᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝᲛ ᲤᲘᲠᲛᲐ. ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲮᲚᲔᲕᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝᲛ ᲒᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲮᲚᲔᲕᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ.

ᲛᲐᲰᲝᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ Ნ. ᲑᲔᲥᲐᲜᲫᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲓᲛᲝᲓᲒᲘᲗ ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲔᲪᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲗᲐᲠᲘ ᲓᲐᲒᲐᲥᲪᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲓᲛᲝᲓᲒᲘᲗ ᲞᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲛᲝᲠᲘᲡᲘᲡ, ᲨᲣᲨᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲧᲚ

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 აპრილი

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკადესი და ეუსოოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

საკადესი — ტელეტაიპის ლენტიდან

ბონი

● **უდიდესი სავაჭრო კონცერნები „აარშადტი", „კაუფჰოფი", „მერტი" „კველე", „ეორტენი" ხულ უფრო ბაბამკაიცებენ თავიანთ გაბატონებულ მდგომარეობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საცალო ვაჭრობაში.**

9 პროცენტით გაადიდეს 1975 წლის თავიანთი ბრუნვა „კაუფჰოფის" უნივერსალურმა მაღაზიებმა. მათი სავაჭრო დარბაზების ფართობი 2,3 პროცენტით გადიდდა. „ჰორტენის" ჯგუფის სავაჭრო ბრუნვა 10 პროცენტით გაიზარდა.

დამასკო

● **საბჭოთა სპეციალისტებმა შეიმუშავეს სირიის ნავთობის მრეწველობის კომპლექსური განვითარების ხუთწლიანი პროგრამა (1980 წლამდე).**

ამ ქვეყნისათვის ახალი ინდუსტრიის დარგი — ნავთობის მრეწველობა შეექმნა საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. 1968 წლის მაისში საბჭოთა მუნავთობეების მიერ გაბურღული ჭაბურღილებიდან ამოხეთქა პირველმა ნავთობმა.

ათენი

● **ქვეყნის პარლამენტში ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა გააკრიტიკეს საბერძნეთის მთავრობა და მისი განზრახვა გაფართოოს სამხედრო თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან.**

„სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის" ლიდერმა ა. პაპანდრეუმ „დიდი შეცდომა უწოდა" სამხედრო დარგში საბერძნეთისა და შეერთებული შტატების მომავალი თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების შესახებ შეთანხმებას, რომელსაც ამას წინათ მოაწერა ხელი მთავრობამ.

ბეირუთი

● **პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის რაშიდ კარამეს თავმჯდომარეობით აქ გაიმართა პირველი სხდომა უმაღლესი სამხედრო კომიტეტისა, რომელშიც შედიან ლიბანის, სირიისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელნი.**

კომიტეტის წევრებმა განიხილეს ყველა ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ წინათ მიღწეული შეთანხმების დაცვის კონკრეტული ღონისძიებანი.

მოკლედ

საახალწლოვანი წლისთავი

ჰავანა. (საკადესი). **1961 წლის აპრილში იმპერიალისტთა დაქირავებულების განადგურება პლაია-ხირონის რაიონში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია რევოლუციური კუბის ისტორიაში. 12 აპრილს კუბის მშრომელებმა აღნიშნეს მე-15 წლისთავი მტერზე ამ გამარჯვებისა, რომელმაც დამაჯერებლად ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკის ხალხს, რომელიც სოციალისტური გარდაქმნების გზას დაადგა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაიცვას რევოლუციური მონაპოვარნი. 1961 წლის აპრილს ამბებმა ცხადყვეს აგრეთვე, რომ ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში კუბელი ხალხი მარტო როდია, რომ ივი ეყრდნობა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების სრულ მხარდაჭერასა და სოლიდარობას.**

„1961 წლს ინტერვენტების განადგურებამ, ხალხის შეკავშირებამ თავიანთი ხელმძღვანელობის გარშემო, სოციალისტური კუბის თავდაცვის განმტკიცებამ, ომმა სოციალისტურ ქვეყნებთან მისი ყოველმხრივი კავშირურთიერთობის განვითარებამ დამაჯერებლად დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ კუბის რევოლუცია მტკიცედ დგას ფეხზე და, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, რამედ ღირს, რადგან „შესწევს ძალა თავის დაცვისა", — ხაზი გაუსვა 1974 წლის იანვარში ჰავანაში გამართულ მასობრივ მიტინგზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

განვლილი 15 წლის მანძილზე კუბის რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობაში. წლითიწლობით მტკიცდება ეროვნული ეკონომიკა, განუხრელად იზრდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. კომუნისტური პარტია და რევოლუციური მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

პორტუგალია: ბოლანგული

წინასაარჩევნო კამპანია

ლისაბონი. (საკადესი). **რესპუბლიკის კრების არჩევნების მოახლოების კვალობაზე სულ უფრო დაძაბული ხდება წინასაარჩევნო კამპანია პორტუგალიაში. როგორც ლისაბონში გამართულ მიტინგზე განაცხადა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვაარო კუნიალმა, რეაქციონერები, რომლებიც კამპანიის მსვლელობაში რამდენჯერმე საგრძნობლად დამარცხდნენ. უკვე აშკარა პროვოკაციებს მიმართავენ. ამასთან დაკავშირებით ა. კუნიალმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ვითარების გამწვავება, დაძაბულობა, შეტაკებები მხოლოდ მემარჯვენე ძალებისათვის არის ხელსაყრელი.**

განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობაა ქვეყნის ჩრდილოეთში, სადაც მემარჯვენეები თავს ესხმიან არა მარტო კომუნისტებს, არამედ აგრეთვე სხვა მემარცხენე პარტიათა წარმომადგენლებს. ისინი პროვოკაციულად იწვევენ შეტაკებებს და ხშირად ეს ადგილობრივი პოლიციის წაყრუებით ხდება.

რეაქციონერები კვლავაც ცდილობენ თავიანთი გავლენა გაავრცელონ ქვეყნის სამხრეთში, სადაც მოსახლეობაში განსაკუთრებით ძლიერია მემარცხენე განწყობილებანი, ორმა დიდმა პარტიამ — სახალხო დემოკრატიულმა პარტიამ და სოციალ-დემოკრატიულმა ცენტრმა ერთ-ერთი სამხრეთ პროვინციის ცენტრში ქალაქ ბეჯაში გამართეს მიტინგები, რომელთა დასასრულს, უშიშროების ღონისძიებათა მიუხედავად, მოხდა ინციდენტები, რომლებიც აშკარად მემარჯვეეზეებმა გამოიწვიეს. ინციდენტების შედეგად ერთი კაცი მოკლეს, რამდენიმე ათეული კაცი დაჭრეს.

ალასტურებს პრესა

სსრ კავშირი არაბი ერის მეგობარია

ბაღდადი. (საკადესი). **მრავალის მმართველი პარტიის — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ორგანომ გაზეთმა „ას-საურამ" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია სათაურით „სწორი კურსი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში". სტატია ეძღვნება სსრ კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების წლისთავს. მასში აღნიშნულია, რომ ეს ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ერაყისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებისათვის.**

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია, წერს გაზეთი, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არაბთა რევოლუციურ მოძრაობასა და საბჭოთა კავშირს შორის უნდა იყოს ისეთი ურთიერთობა, რომელსაც სტრატეგიული კავშირის სახითა ეწოდება და საფუძვლად დაედება ბრძოლა იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს პარტია საზგასმით აღნიშნავდა, რომ უნდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებელი პატრიოტული ეროვნული პოზიცია, განუხრელად დავიცვათ მიუშსრობლობის პრინციპები და პოლიტიკა.

დღეს ჩვენ არ ვფარავთ დიდ შეშფოთებას იმის გამო, რომ გაუარესდა საბჭოთა კავშირისა და ზოგიერთი მისი არაბი პარტნიორის, განსაკუთრებთ ეგვიპტის ურთიერთობა, ურთიერთობა, ნათქვამია შემდეგ სტატიაში.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ისეთ პოზიციას, როცა ერთმანეთს უტოლებენ მტერსა და მოყვარეს, როცა უარყოფენ და ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა მთლიანად არაბებს და კერძოდ ეგვიპტეს გაუწია დიდი სამხედრო და ეკონომიური დახმარება. ეს დახმარება რომ არ ყოფილიყო, ეგვიპტე ვერ მიაღწევდა უაღრესად დიდმნიშვნელოვან მონაპოვრებს, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა სიონისტურ აგრესიას და ვერ მიაღწევდა იმას, რაც მოახერხა ოქტომბრის ომის დროს.

არაბული ქვეყნების ზოგიერთი მმართველი წრეები სავსებით მცდარად უდგებიან საბჭოთა კავშირისა და არაბთა ურთიერთობას და უდიდეს ზიანს აყენებენ არაბთა უმაღლეს ინტერესებს, როგორც სიონისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე ეკონომიური და სოციალური მშენებლობისა და პროგრესის ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში. აზრი, თითქოს იმპერიალიზმს შეეძლოს იმ დადებითი მხარეების კომპენსაცია, რომლებიც არაბეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დაკარგა, წმინდა უტოპიად მიგვაჩნია ყველა იმ თვალსაზრისს, რომელიც ცთუნების მიუხედავად, რომლებიც ახლა საერთაშორისო ასპარეზზე ჩნდება, წერს „ას-საურა".

ზოგიერთს მიაჩნია, რომ დრო გამოიცვალა და ახლა იმპერიალიზმს შეუძლია იმის მიცემა, რასაც არ იძლეოდა ორმოცდაათიან და სამოციან წლებში.

მაგრამ უცილობელი ფაქტია, რომ იმპერიალიზმი არ შეცვლილა და არც არასოდეს შეიცვლება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო და გარკვეული პირობების ფარგლებში შეიცვალა მისი მეთოდები და გამოთქმები, რომლებსაც იგი ხმარობს.

არაბი ერის ინტერესები, როგორიცაა მისი განთავისუფლება, პროგრესი და სიონისტური აგრესიის ლიკვიდაცია, ბოლოდროინდელ, დიდი თუ მცირე მასშტაბით გამოიწვევენ შეტაკებას იმპერიალიზმთან. რაც უნდა უარყოფითი მოვლენები და სიძნელეები გაჩნდეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, იგი ყოველთვის რჩება დიდ საერთაშორისო ძალად, რომელიც მეგობრულად ეკიდება და დახმარებას უწევს მებრძოლ არაბ ერს. და სწორედ ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ სსრ კავშირთან მეგობრობისა და ყველა დარგში თანამშრომლობის ნათელ, მყარ საფუძველზე აგებული ურთიერთობა.

გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ არაბეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა დაძლევს ახლანდელ კრიზისულ მდგომარეობას და დაინტერესებული მხარეები გამოიჩენენ მაქსიმალურ სიბრძნესა და გონივრულობას, არაფერი რომ არა ვთქვათ იმ ვალდებულებებზე, რაც გამოდინარეობს ჭეშმარიტად პატრიოტული ეროვნული პოზიციიდან, რომელიც ითვალისწინებს არაბული ერისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას.

სტატია ერაყის გაზეთ „ას-საურას" ფურცლებზე

კაპიტალის ქვეყნებში

ცხოვრების სიძვირის წინააღმდეგ

საფრანგეთში გაიმართა მელითონეთა მოქმედების ეროვნული დღეები. პარიზის რაიონის ლითონდამამუშავებელი და მეტალურგიული მრეწველობის წარმომადგენლებმა, რომლებიც დედაქალაქის ერთ-ერთ მოედანზე შემიკრიბნენ, მოითხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება, ხელფასის მომატება, ცხოვრების სიძვირის ზრდის შეწყვეტა.

სურათზე: მელითონეთა მანიფესტაცია.

საკადესის ფოტო.

„საბჭოთა ხელოვნება" № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიურ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი, მეოთხე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მეთაური წერილით „სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებანი ცხოვრებაში". საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალური საზოგადოების ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა ჩაატარეს სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კვირეული. ამასთან დაკავშირებით ჟურნალს გამოქვეყნებული აქვს საინტერესო მასალები.

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტს, რომელიც ამასწინათ გაიმართა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ჟურნალი მკითხველებს სთავაზობს **ვიენ მუნჯიშვილისა და მანანა ახმეტელის** საუბარს, აგრეთვე **ო. თაქთაქიშვილის, ვ. ბერიძის, რ. ლაღიძის, ხ. ნახიძის, ნ. მამისაშვილისა და ბ. კვერნაძის** შთაბეჭდილებებს.

ჟურნალის ახალ ნომერში მკითხველი გაეცნობა ფრანგული თეატრის თვალსაჩინო მოღვაწის, რეჟისორის და მსახიობის ჟან-ლუი ბაროს წიგნის „**ფიქრები თეატრზე**" რამდენიმე თავის ქართული თარგმანს.

„საბჭოთა ხელოვნების" მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე **ვერიკო ანჯაფარიძის, ოთარ ფირალიშვილის, ზურაბ ალუდაშვილის, ლადო ავალიანის, ალექსანდრე შალუტაშვილის, სანდრო თუშმალიშვილის, ტატიანა შარიეევას** წერილები და სხვა საინტერესო მასალები.

რუბრიკით „ქრონიკა" ჟურნალში დაბეჭდილია რუსპუბლიკის ხელოვნების ამბები.

ფიქრები ყრილობის წინ

თაობათა ესტაფეტა

ოცდაერთ იანვარს დიდი ლენინის ძეგლთან, ლენინურ სიმტკიცესა და რწმენას ნაზიარები მოდგა და მოდგა ახალგაზრდობა.

„გეფიცებით შენ, კომუნისტურო პარტიავ ჩვენო", — ამბობდა ერთი და ენაცვლებოდა მეორე, მეორეს მესამე მიაყვებოდა, მესამეს ... მეოთხე, გუგუნებდა ათასობით ნერგი სიცოცხლისა, მომავალი ერისა.

იდგა ბელადი, რომლის საქმე და სახელი, მტკიცე და მარადიულია. ბევრი თქვენგანი ან ძეგლთან იდგა და ალბათ ფიქრობდა, რომ სწორედ ამ თაობიდან იწყება ახალი მნიშვნელოვანი განვითარება ჩვენი საბჭოური პატრიოტიზმისა. მე სიამაყით მევსებოდა გული და მჯეროდა, რომ რევოლიციური ენერგია, ძალა და ღონე, მსხვერპლი და დაღვრილი სისხლი, კაცობრობისადმი დიდი სიყვარული და გმირთა წამებული სიცოცხლე ახალგაზრდობის ამაღლებულ იდეად იქცა.

ეს იყო წინა დღეს. წინა დღეს ყოველთვის ეტყობა ხვალ როგორი ამინდი იქნება. ხოლო მეორე დღეს, საქართველოს კომუნისტებმა კვლავ მაღლა აღმართეს რევოლუციურ-ინტერნაციონალური მოძღვრების დროშა, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა.

ერთი აღფრთოვანება, ერთი ოცნება, ერთი რწმენა, ერთი მორალი, ერთი მიზანი, ერთად მოქცეული ერთსულოვნებაში! — ორი ათასი რჩეული კომუნისტი ძღეროდა ინტერნაციონალს და მე კვიქროდი, ხმამაღლა ეფიქრობდი: ქვეყნისა და იდეის დაცვაზე უფრო დიდი ნიჭი ადამიანს არა ჰქონია.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მამულის სიყვარულით სულანთებული კომუნისტები. აღტაცებულნი, ბობოქარნი, რევოლუციური სიცოცხლით აღზევებულნი ღაღადებდნენ ჭეშმარიტებას, ხოლო ჩვენ მათს ღირსებასა და ძლევამოსილებას მათივე ანრიგნენის საფუძველში ვხედავდით.

დიახ, ასე, ასე დაუღლელად... ახლა დაღლისა და სევდის დრო არ არის, ახლა მთავარია სამშობლოს რწმენის კედელი იყოს შეურყეველი, იყოს ისეთი, როგორიც მის ნათელ მომავალს ეკადრება.

დარბაზში, ჩვენთან ერთად, ჩვენს გვერდით ზის მეოცე საუკუნის დიდი ტრიბუნი — გალაკტიონ ტაბიძე და ხმამაღლა გვეუბნება, თვითეულ ჩვენთაგანს ეუბნება:

ხიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე.
განზე გადექი და ტყვია დაიხალე,
გული გაიხელე, სიხლით გაიხალე,
ოღონდ არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე.

ყრილობა ჩვენი ეროვნული ენერგიის ლამპარს დაემსგავსა, ეფთო, აბრიალდა და ზეიმად იქცა.

ჩვენივე გულების ცეცხლით დანთებულ ხანძარს კვლავ შეუერთდა ხვალინდელი დღის მთავარი ძალა, მომავალი თაობა, აღთქმული ქვეყნისაკენ მავალნი მამათა გზით.

თითქმის ორმა თვემ განვლო, 1976 წლის 24 თებერვალს გაიმართა ლენინელთა დიდი ფორუმი — კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა, მსოფლიოს კომუნისტთა ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა. ამ ისტორიული ყრილობის შემდეგ საქართველოს კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი კიდევ უფრო კომპეტენტურად, მეთოდურად, კანონზომიერად და მეცნიერულად სწავლობს და აანალიზებს ეკონომიკის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყველა მხარეს.

ეი დიდ გზაზე გავიდა პირველი წელი მეათე ხუთწლედისა. ახლა კი ნამდვილად დროა ცუდი წარსულის მოგონებები ხვალინდელი დღის ოპტიმისტური განწყობილებით შევცვალოთ. ჩვენ, ფაქტიურად მეცხრე ხუთწლეული ბოლო სამ წელიწადში შევასრულეთ, ახლა მთელი ჩვენი მეცადინეობა, ფიქრი და ოცნება საქართველოს მომავლისაკენ არის მიმართული.

ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა შეიძლება ხუთ წელიწადში ფეხზე დაიყენო, ხოლო რწმენის აღდგენა სისხლის ფასად ჯდება, რამეთუ რწმენა მოოვებულია სისხლის ფასად.

ადამიანთა გულში რწმენის აღდგენა მწერლის უპირველესი საქმეა, მე ეს ღრმად მჯერა. დიახ, მრავალგზის შეგვახსენეს, მრავალგზის აღინიშნა, რომ წარსულში ცალკეულ ადამიანთა ფსიქიკა და მსოფლმხედველობა, ჩვენი ნათელი იდეალებისადმი მათი რწმენა უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე ეკონომიკა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ მწერლებს მეტი საზრუნავი გაუჩნდათ...

პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა კიდევ უფრო აამაღლა დრამადმნიშვნელოვანი გახადა მწერლის პირადი ავტორიტეტი, მისი პიროვნება. დღევანდელ დღეს, ჩვენი დიდი მწერლობის საუკეთესო ნაწილი ხელუბდაკაპიწებული აბრძვის ხვალინდელი დღისათვის.

ჩვენი მწერლების დღევანდელი ცხოვრება — ეს არის ულმობელი ბრძოლა კალმით ყოველივე დროს მოჰმეულისა და მანკიერების წინააღმდეგ, ამ ბრძოლაში ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატორები ცეცხლის წინა ხაზზე დგანან.

მოდის ახალგაზრდობა ნიჭიერი, ნაკითხი და განათლებული, მათი ნაწარმოები არ უნდა იყეტებოდეს უჯრებში. ახალგაზრდა შემოქმედს „მწვანე გზა" უნდა ჰქონდეს გამოძეკლილებმა. ახალგაზრდა შემოქმედს, რომელმაც უკვე გამოიარა პრესის ქარცეცხლი, მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ, საამისოდ ბევრი კეთილშობილური საქმე გაკეთდა, ბევრსაც ვაპირებთ.

„ცისკარი" — ჩვენი ახალგაზრდობის ჟურნალი, მკითხველს კვლავაც მოაგონებს, სიამოვნებით მოაგონებს საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების სასახელო ბრძოლის შთამბეჭდავ მაგალითებს. ისინი აშენებენ ენგურჰესს და „ბამ"-ზეც ისეთივე თავდაუზოგავი ჯაფის ფასად გაჰყავთ გზები, როგორც ოდესღაც პავკა კორჩაგინსა და მის და-ძმებს გაჰყავდათ ვიწროლინდგიანი რკინიგზა. ჩვენი ახალგაზრდობა მშვიდობის თანამეგზაო, ყოველი ჩვენგანის-ფალია იდგეს იქ, და მხოლოდ იქ, „სადაც ქარიშხალია", სადაც ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის ბრძოლის სანგარი, სადაც კომუნისტური სიწმინდისათვის ბრძოლის სანგარი.

ქართველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა თავიანთი სიტყვა თქვეს ჩვენს თანამედროვეობაზე, მხარში უდგანან კომუნისტური საზოგადოების მშენებელ გმირ ხალხს და დრმად სწავლობენ თანამედროვე გმირის სულიერ სამყაროს.

ჩვენმა მწერლებმა ყველა გადაწყვეტ ქამს თავი ისახელეს, როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტებმა და ინტერნაციონალისტებმა. გავიხსენოთ ის ძველი და მრისხანე დროც, როცა „ხიშტით და კალმით" იბრძოდა ჩვენი უფროსი თაობა, მათი უკვდავი სანეტები ახლაც ეჭიროს ასოებით წერია ჩვენი ლიტერატურული ფირმის კალთაზე.

ხალხთა თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ლენინურმა კოპორტამ ესტაფეტად გადმოსცა ჩვენს თაობას ის, რომ ვიყოთ თანმიმდევრული მებრძოლები და პრინციპულები ყველა საქმეში.

დღეს, და სწორედ დღეს, მთავარია ჩვენს ნაწარმოებებში აისახოს თანამედროვე გმირი, რომელიც ფერწყმული იქნება მტკიცე კომუნისტური მრწამსი, მაღალი მორალური თვისებები და ფუნდამენტური ცოდნა. დღევანდელი ახალგაზრდა კაცის შინაგანი სიმწიფეც არის ჩვენი დიდი ლიტერატურის აქტიურობის შედეგი. დიდებული პიროვნებანი შექმნილი დღევანდელი მებრძოლი თაობის საზოგადოებრივი აქტივობის განვითარებისათვის.

ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს წიგნებზე, პრესაზე, კერძოდ, ახალგაზრდულ ჟურნალებზე! ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს ახალგაზრდა მწერლებზე!

ჩვენი ახალგაზრდა მწერლები როგორც მოწინავე ხაზზე, ისე მიდიან ჩვენი დიადი სამშობლოს შშენებლობებზე, ფაბრიკა-ქარხნებში.

ჩვენმა ახალგაზრდულმა ჟურნალ-გაზეთებმა, კერძოდ „ახალგაზრდა კომუნისტმა" და „ცისკარმა" ერთი წლის წინათ „ბამზე" მიაკლინა ორი პოეტი — დილარ ივარდავა და ვანო ჩხიკვაძე. დილარ ივარდავას ლირიკული პოემა გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტსა" (რამოდენიმე ნაწყვეტი) და „ახალგაზრდა კომუნისტში", ხოლო მერე „მერანმა" ცალკე წიგნად გამოსცა. ვანო ჩხიკვაძის ვრცელი ნარკვევი „ცისკრის" ფურცლებზე დაიბეჭდა.

წინა ხაზზეა ახალგაზრდობა...

ჩვენი ახალგაზრდა მწერლობა კვლავაც ამ დიდი და ჭეშმარიტი გზით იარეს.

კარზე მოგვადგა საქართველოს მწერალთა მე-8 ყრილობა. ჩვენი დიდი მწერლობის საზრუნავია — იბრძოლოს მაღალმხატვრული ლიტერატურისათვის.

როცა ახალი პიროვნების პრობლემებზე ვლაპარაკობთ, გადამწყვეტი სიტყვა მწერლობას ეკუთვნის. ჟურნალი „ცისკარი" ეცდება მეტი იზრუნოს დამწყებ მწერალთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის, რადგან ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ ძერებს ასახვის ნოვატორული ფორმები სჭირდება.

ჯანსუღ ჩარკვიანი,
ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი.

ამერიკა

ეროვნული

ეკონომიკა

ბაგების წინააღმდეგ

ნიკოზია. (საკადესი). **საბჭოთა კავშირისა და სხვა მეგობარი ქვეყნების თანამიმდევრული მხარდაჭერა და სოლიდარობა რომ არ ჰქონოდა, კვიპროსი ვერ იარსებებდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, განაცხადა აქ კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის (აკელი) გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და კვლავ ვიმეორებთ, აღნიშნა მან, რომ კვიპროსელი ხალხისა და მისი განმათავისუფლებელი ბრძოლის საარსებო ინტერესები მოითხოვენ სსრ კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.**

დაახასიათა რა ამერიკა-საბერძნეთის ახალი შეთანხმება სამხედრო-ეკონომიკურ თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ამ დღეებში დაიდო ვაშინგტონში, ე. პაპაიოანუმ თქვა, რომ მას შეეძლება მოსკვეს კვიპროსის პრობლემის მხოლოდ ახალი გართულება. ჩვენ, განაგრძო აკელის გენერალურმა მდივანმა, აბსოლუტურად არავითარი ნდობა არა გვაქვს საბერძნეთის საგარო საქმეთა მინისტრისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უკასსინჯერი კონსულტაციებისადმი, რამდენადაც მათი მთავარი მიზანია — დარჩეს ამერიკის ბაზები საბერძნეთის ტერიტორიაზე.

საბერძნეთისა და კვიპროსის ნამდვილ ინტერესებს, ხაზი გაუსვა დასასრულ ე. პაპაიოანუმ, ემსახურება უცხოთის ბაზების ლიკვიდაცია ამ ქვეყნებში და მათი პოლიტიკის ორიენტაცია იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც, ავითარებენ რა თანამშრომლობას, არ მოითხოვენ სამაგიეროდ არც ბაზებს, არც სხვა უპირატესობებს.

იტალია

პროვოკაციული გამოსვლები

რომი. (საკადესი). **იტალიაში გრძელდება სამრეწველო საწარმოებისა და ხაწყობებისათვის პროვოკაციულად ცეცხლის წაკიდება. ხანძარი გაჩნდა „ფიატის" საავტომობილო კონცერნის ერთ-ერთ ქარხანაში ტურინის მახლობლად. მეხანძრეებმა დროზე ჩააქრეს ცეცხლი. ამ ბოლო დღეებში ეს უკვე მესამედ შეეცადნენ დაეწვათ „ფიატის" ქარხანა.**

რომში ცეცხლი წაუკიდეს მაღაზია „სტანდას" საწყობს. ქალაქ პრატოში უცნობ პირთა ჯგუფმა ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლები დაუშინა ერთ-ერთი ფაბრიკის შესასვლელს. ხანძარი მუშებმა ჩააქრეს.

იტალიის დემოკრატიული პარტიები და პროფკავშირები გადაჭრით გმობენ პროვოკაციული ელემენტების მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში შექმნან დაძაბულობისა და ალალდოვნის ვითარება. დანაშაულებრივ ჯგუფებს, რომლებიც პროვოკაციებს სჩადიან, ზურგს უმაგრებენ რეაქციული ძალები.

ტურინის, მილანისა და იტალიის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებმა გადაწყვიტეს უფრო ფხიზლად იყვნენ, საწარმოებში შემოიღონ მუშათა პიკეტები, რათა ხელი შეუშალონ პროვოკაციათა განმეორებას.

არქეოლოგიური ნაპოვნი

ჰერაკულესის ქანდაკება

ბაღდადი. **ერაყელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მასალები, რომლებიც მუჭს ჰფენენ ერაყის უძველეს ისტორიას.**

ჩვენი ერის პირველ ხაუკუნეებში ფართოდ ცნობილი ქალაქ ჰატრის (მოსულის რაიონი) ნანგრევების გათხრების დროს არქეოლოგებმა იპოვეს ჰერკულესის დიდი ქანდაკება და მეფე სანატრუკის ქანდაკებათა კოლექციი. მეცნიერთა აზრით, ქანდაკებები განეკუთვნება მე-2-1 საუკუნეებს ჩვენს ერამდე.

იქვე აღმოაჩინეს სხვადასხვა ხაკრავი და ოქროს ფული, რომლებსაც ელინური და რომაული კულტურების დიდი ემჩნევათ.

(საკადესი).

ჟურნალისტის
გლოვაროტიდან

გული აჩუქე ხალხს

თბილისის აღმოსავლეთით აღმართულა მახათის მთა. წინათ იგი მოშიშვლებული, მცენარეულობას მოკლებული იყო. მხოლოდ ერთ-ერთ მწვერვალზე ეულად იდგა პანტის ხე. ქარი არხევდა, თხელი ტანი ელუნებოდა და თითქოს ბედის ანბარა მიეტოვებინათ.

ყოველთვის, იქ რომ ჩაივლიდა, მიხო პაპა გულისტკივილით ამბობდა:

— დამიჭერეთ მოხუცს, დიდხანს ვერ იდგება მარტოკა — ან გრიგალი წააქცევს, ან მეხი დაეცემა.

მალე ახდა მიხო პაპას წინასწარმეტყველება. ერთხელ გვითხრა:

— ხომ გეუბნებოდით. ხე დაიღუპა. ჩანს, ქარმა წააქცია. აი ახე ხანმოკლე და უბედურია მარტოხელას ცხოვრება. ბაღში კი ხეები დიდხანს ცოცხლობენ, ლამაზად ყვავიან და უხვად მსხმოიარობენ. როგორც ჩანს, ახინი, ადამიანებსავით, მეგობრობით არიან ძლიერნი.

ეს ბრძნული სიტყვები გამახსენდა, როცა გავეცანი ამბავს, რომელიც მინდა ვუამბო მკითხველს.

ბაბილინას სახლი

საფრონტო საფოსტო სამკუთხა წერილები აღარ მოდიოდა, და უცებ მოვიდა ამბავი: „გმირულად დაიღუპა...“. მარტოდ დარჩენილი ჯარისკაცის ქერივი ნუგეშს ითხოვდა, რომ მთელ თავის გულის მხურვალეს ადამიანებს ანმარდა. მეზობელს ვინმე ავად თუ გაუხდებოდა, თუ არავინ იყო, რომ ავადმყოფისათვის მიეხედა, ბაბილინა ირასდროს უარს არ ეტყოდა, ხალისით უვლიდა პატარებსაც, ზოგს თბილ წინდას, ზოგს შალს მოუქსოვდა...

გავიდა წლები... სიბერე როგორღაც ჩუმად და შეუმჩნევლად შეეპარა მას. ოღესღაც მოვლილი სახლი დაძველდა, გვერდზე გადაიხარა და ნელ-ნელა ინგრეოდა. საღ ჰქონდა ქვრივს ახალი სახლის აშენების თავი? და ბაბილინაც არ ჩიოდა, უხმოდ იტანდა გაჭირვებას.

ახალსოფელში სოფლის კრებაზე ყველამ ერთხმად გადაწყვიტა ბაბილინას ახალი სახლი უნდა ავუშენოთო. კოლმეურნეობის გამგეობამ გამოყო სახსრები, საშენი მასალები, აქ შექმნილ მშენებელთა კომპლექსურ ბრიგადაში



საგაზაფხულო ფერები

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა პორტრეტები, საქართველოს წარმტაცი პეიზაჟები წარმოდგენილია ტრადიციულ საგაზაფხულო გამოფენაზე, რომელიც გუშინ გაიხსნა საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში ბარათაშვილის სახელობის ხიდზე. ამ გამოფენით დაიწყო მხატვრის ტრადიციული კვირეული.

საგაზაფხულო გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა თაობის მხატვართა ნამუშევრები. ექსპოზიციაშია ფერწერა და გრაფიკა, ქანდაკება და ჭედურობა, მინა და კერამიკა.

გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ნ. ჯანბერიძემ, რომელმაც ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებს მიუღოცა მხატვართა გაზაფხულის დღესასწაული და უსურვა მათ დიდი შემოქმედებითი წარმატებანი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე და საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ოჩიაური.

წელს კვირეულის გაფართოებულ პროგრამაშია გამოფენები, ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა შეხვედრები მშრომელ ადამიანებთან. კვირეულის სინტერესო მოვლენად იქცევა გამოფენის გახსნა მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის კულტურის სახლში, რომლის კოლექტივთან საქართველოს მხატვართა კავშირმა დადო შეგობრობისა და ურთიერთ ხელშეკრულება. ქართველი მხატვრები მადნეულელებს სიტყვიერად გადასცემენ რამდენიმე ფერწერული ტილოს.

გამოფენა გაიხსნება აგრეთვე სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, „ვერნის“ საგამოფენო დარბაზში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ამ დღეებში თბილისელებს საშუალება ექნებათ ეწვიონ რესპუბლიკის თვალსაჩინო მხატვართა სახელოსნოებს. კვირეულის პროგრამაშია საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ხსოვნის საღამო, რომელიც გაიმართება მის სახელოსნოში.

20 აპრილს მოწვეულია საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელზეც გაიმართება სკა-ბაასი თანამედროვე ქართული საბჭოთა ფერწერის მდგომარეობაზე, მისი შემდგომი განვითარების გზებზე, სკკპ XXV ყრილობის მიერ ხელოვნების მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანებზე, რომ შეეძნნ ფორმითა და ფერით მრავალფეროვანი ნაწარმოებები ჩვენი დიდი სამშობლოს, ჩვენი დღეების გმირთა სადიდებლად. (საჭიფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ცეკვის ეშხი და სილამაზე

თბილისში ანსამბლ „ბერიოზკას“ გასტროლების გამო

რამდენიმე დღეა თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფო აკადემიურ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერიოზკას“ გასტროლები, რომლის ხელოვნებასაც მსოფლიოს ყველა კონტინენტზე იცნობენ და აღიარებენ. ანსამბლის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნადეჟდა ნადეჟდინა.

ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა რ. მუხიგულაშვილმა საქართველოს ხალხური სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ნინო რამიშვილს სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ანსამბლის კონცერტებზე:

— „ბერიოზკასა“ და ჩვენს ანსამბლს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. თვითეული ჩვენგანი თვალს ვადევნებთ მათს ყოველ პროგრამას, ყოველ ახალ საცეკვაო ნომერს, ანსამბლის წარმატებებს, და გულწრფელად გვიხარია.

ანსამბლი, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდ მოამბეჭდილებას ახდენს. მის წარმატებას უთუოდ ხელს უწყობს ის, რომ თვითეული ცეკვა, საცეკვაო სიუიტა თუ ქორეოგრაფიული სცენა რუსულ ფოლკლორულ მასალაზე, ხალხურ შემოქმედებით წყაროზეა აგებული. ხალხური ცეკვის ფერებს კი დიდებულად ამდიდრებს ნიჭიერი ხელმძღვანელის ნადეჟდინას ჩანებული. ფანტაზია და ახალი შემოქმედებითი ჩანაფიქრები.

მრავალფეროვანი პროგრამა დიდი გემოვნებით არის შედგენილი და გამოირჩევა საინტერესო მიგნებებით, ქორეოგრაფიული ოხრობის ხერხებით, და ყოველივე ეს ისეთ მაღალმხატვრულ დონეზეა წარმოდგენილი, რომ ძნელია რომელმე ნომრისათვის უპირატესობის მინიჭება, გამორჩევა. მაინც არ შემიძლია არ აღვნიშნო საინტერესოდ დადგმული რუსული საფერხულო ცეკვა „თითისტარი“, ღრმააზროვანი ქორეოგრაფიული თხრობითა და არაჩვეულებრივად ლამაზი დაწყებით, სადაც სიმღერა კარგად ერწყმის ცეკვას.

საოცარი გრაციით, პლასტიკითა და არაჩვეულებრივი სინარნარით სრულდება ქალთა რუსული ცეკვა „ბერიოზკა“, რომელიც ანსამბლის დაარსების დღიდან მის რეპერტუარშია და ყოველი ახალი შეხვედრისას დიდ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს.

დიდი გემოვნებით, საუცხოო ფანტაზიით გამოირჩევა რუსული საფერხულო ცეკვა „მინდვრის ყვავილები“. აქ სიმღერა მშვენივრად ავსებს ცეკვას და საერთოდ ეს დადგმა ყველა თავისი კომპონენტით (მუსიკა, კოსტიუმები, შესრულება) უზადო და უნაკლოა.

სანტერესოდ, მოფიერებულად არის დადგმული საცეკვაო სცენა „მეეტლეები“, ხალხურობით, იუმორით აღსავსეა „ცამბრიული სიუიტის“ ნომერი „დათვზე ნადირობა“, ცეკვა „ნაყშებში“ კი მეტად ეფექტურად არის გამოყენებული თავსაფრები. ახალი, მშვენიერი მიგნებით გამოირჩევა და მთლიანად სრულდება საცეკვაო სცენა „ჩრდილოელი ქალი“ და „რუსული ფაიფურა“. არ შემძლია არ აღვნიშნო მოცეკვავე ვაჟების ძლიერი შემადგენლობა, რომელთაც ვირტუოზული ტექნიკა და კარგი მსახიობური მონაცემები აქვთ.

კონცერტის მაღალ კულტურას მიჰვენებელია კოსტიუმები, რომლის მხატვრობაც რუსულ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლ. სილინს ეკუთვნის. კოსტიუმები კარგად ეხამება, ერწყმის თვითულ ცეკვას და თითქოს ცეკვის სახელწოდებებს გამოხატავს.

განსაკუთრებული ქებით მინდა მოვიხსენიო ორკესტრის მაღალი პროფესიული დონე, მშვენიერი ორკესტრირებითა და ჟღერადობით გამორჩეული, რაც მთელი კოლექტივის წარმატების ერთ-ერთი საუკეთესო საფუძველია.

სურათებზე: ანსამბლ „ბერიოზკას“ წარმოდგენის რამდენიმე ფრაგმენტი.

ᲒᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲯᲘᲗ

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

პირველობა — უკანასკნელზე

გუნდების მდგომარეობა 8 ტურის შემდეგ: „ბურევესტნიკი“ — 16,5 ქულა (3 პარტია გადაიდო), „ტრუდი“ — 14,5 (2), ცდა — 13 (2), „ავანგარდი“ — 12,5 (1), „დინამო“ — 12 (2), სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები — 12, „სპარტაკი“ — 10 (3), „დუბავა“ — 9,5 (3).

რას არ ნახავს კაცი გუნდურ შეჯიბრებებზე! ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ორი ტურის შემდეგ წინ იყო „დუბავა“, ახლა, სამი ტურისა და გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ამ გუნდმა პირველიდან... უკანასკნელ, მერვე ადგილზე გადაინაცვლა.

გუნდების მდგომარეობა დღესაც საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან ბევრი პარტია კვლავ დაუმთავრებელი რჩება. დიდი აღმავლობითა და შეუპოვრობით თამაშობს ჩემპიონი — „ბურევესტნიკი“. ერთხანს მისი ლიდერის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სმისლოვის პოზიცია მეორე ექს-ჩემპიონთან ტალინან საეჭვო იყო. რიგელი მოჭადრაკე თვითონ ოპტიმისტურად აფასებდა თავის მდგომარეობას, მაგრამ სმისლოვმა მაინც მიაღწია ყაიმს. 55 წლის ასაკში „მომღიმარე გოლიათი“ (როგორც სმისლოვს უწოდებენ) კვლავინდებურად ნატიფი ოსტატობით თამაშობს.

კორჩნოი იყო და რჩება განსაცვიფრებელ და რამდენადმე „ბაუგბარ“ მოჭადრაკედ. გაუგებრად იმიტომ, რომ მას შეუძლია ისეთი პოზიციების დაცვა, რომელზედაც ყველა ხელს ჩაიქნევდა. მესამე ტურში მან არა თუ მოიგერია გიპსლისის იერიში, არამედ მძაფრ ციტნტრში მოიგო კიდეც. და აი გადადებული პარტიების დამთავრებისას კორჩნოიმ, რომელსაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პეტროსიანთან ფიგურა აკლდა, მაინც მოახერხა თავის დაცვა.

ბრძოლა პირველ დაფაზე ლიდერობისათვის მეტად საინტერესოდ ვითარდება. ჯერჯერობით წინ არის რომანიშინი („ავანგარდი“), რომელსაც 3 თამაშიდან 2 ქულა აქვს.

დიდოლტაი გურგენიძე დამარცხდა ოსტატ რაშკოვსკისთან. მსოფლიოს ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა მოიგო გრინფელდს, მაგრამ დამარცხდა როკლაპასთან. ალექსანდრია ყაიმზე შეეთანხმდა რანიკუს, ჩიბურდანიძე — ოზოლს.

გუშინ მეოთხე ტურში გაფრინდაშვილი მოსაგებ პოზიციაში შეცდა და ყაიმს დასჯერდა რანიკუსთან. ტალმა მოუგო რომანიშინს, სმისლოვ-პეტროსიანი და ლუტიკოვ-კარპოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა დოროშევიჩ-გურგენიძის პარტია.

კორჩნოის უპირატესობა აქვს ანიკაევთან, რომელიც გუშინ ბრონშტეინს ცვლდა, ალექსანდრიას მოსაგები პოზიცია აქვს გრინფელდთან, ჩიბურდანიძეს მწვავე პოზიციაში ბაიკი აკლია ბაიცევასთან. გუშინდელმა ტურმა კიდევ უფრო განამტკიცა ლიდერის — „ბურევესტნიკის“ სტურნირო პოზიცია.

დღეს მორიგი მეხუთე ტურია. მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი თეორიებით ეთამაშება ბრონშტეინს, მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი ასევე თეორიებით — ზატულოვსკიას.

გ. გამრეკელი.

ᲩᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ქართველ ჭაბუკთა წარმატება

ნოვოსიბირსკში

აქ გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ორმა მათგანმა — მძიმეწონასანმა ნოდარ ბებურიშვილმა (თბილისის „სპარტაკი“) და ტყვარჩელის „განთიადის“ წარმომადგენელმა ზურაბ ქუჩუბერიამ (57 კგ.) პირველი ადგილები მოიპოვეს.

მეორე იყვნენ 81 კგ. წონით კატეგორიაში ლევან ბაისურაძე (თბილისის „დინამო“) და 71 კგ. კატეგორიაში რუბენ პოღოსიანი (გორის „ბურევესტნიკი“), 87 კგ. კატეგორიაში მესამე ადგილზეა გია ყურამვილი (სოხუმის „სპარტაკი“).

ნიკოლაევში

ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც აქ გაიმართა, საქართველოს მოჭიდაველებმა ოთხი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ბორის გოგიჩაშვილი (გორის „განთიადი“), ხოლო მესამეზე — თამაზ ნამგალაური (თბილისის „დინამო“), ბერდია გუგავა (თბილისის სკა) და ელდარ დამადაევი (თბილისის „სპარტაკი“), რომელიც აბსოლუტურ კატეგორიაში ასპარეზობდა.

□

პოლიან ცხრა

ლენინგრადის სპორტის სასახლე „საიუბილეოში“ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი. უკვე დამთავრდა სამბისტთა ასპარეზობა. ათი წონითი კატეგორიიდან ცხრაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ბ. აკილოვმა (სამარყანდი), ვ. დიმიტრიევმა (ტულა), ა. სონგაილამ (კაუნასი), გ. ბირიუკოვმა (ლიპეცკი), ს. ავდონინმა (მოსკოვი ოლქი), ვ. ბიჩიონოკმა (კიევი), ვ. სოლოვიოვმა (ლენინგრადი), ა. პუშინცევმ (ომსკი), ვ. სიმოდირეევმა (ტაშკენტი). ეილნიუსელი ა. ეფლონასი ქვეყნიმიე წონაში მეორე ადგილზე გამოვიდა, პირველი აქ იყო ბულგარელი ი. დოკტოროვი.

ახლა კონტინენტის ჩემპიონობის სპპატიო სახელისათვის ბრძოლაში ჩაება 18 ქვეყნის 115 თავისუფალი სტილის მოჭიდავე. კარგად დაიწყო ასპარეზობა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, თბილისელმა ლევან თუდიაშვილმა, რომელმაც ზედიზედ ორი შეხვედრა წმინდად მოიგო.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ოთხი წუთით ადრე...

კვირას თბილისის „დინამოს“ პირველი გასვლითი მატჩი ჰქონდა ლენინგრადში „ზენიტთან“.

ასპარეზობა, განსაკუთრებით პირველი ნახევარი, საინტერესო და მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა.

თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს გუცაევმა დაახლოებით 18 მეტრიდან ზუსტად და ლამაზად დაარტყა მასპინძელთა კარის მაღალ კუთხეში, მაგრამ მეკარე ოლინიკმა ასევე ლამაზად აიღო ბურთი.

მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მოსკოველმა მსაჯმა ვ. ლიპატოვმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა დინამოელთა კარისაკენ. ლენინგრადელმა ბელოვმა ბურთი გუნდის კაპიტანს გოლუბევს დგადაცა, რომელმაც 22 მეტრიდან გაიტანა გამარჯვების გოლი (1:0).

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, დარასელია, გუცაევი, ჩელებაძე (წერეთელი).

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 1:0. წარმატებას წერეთელმა მიაღწია.

სამი მატჩი

კვირას და ორშაბათს გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ სამი შეხვედრა, რითაც დამთავრდა გათამაშების სამი ტური. აი მათი შედეგები:

„პრ. სოციალისტი“ — „ზენიტი“ — 2:2
„სპარტაკი“ — „დინამო“ კ. — 0:1
ცსკა — „ზარია“ — 3:0

გათამაშების ცხრილი
„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

სამი ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	2	1	0	4-1	5
ცსკა	1	2	0	4-1	4
„ქარპატი“	2	0	1	4-2	4
„ზენიტი“	1	2	0	3-2	4
„ჩერნომორეცი“	1	2	0	2-1	4
„დინამო“ მ.	1	2	0	1-0	4
„ტორპედო“	1	1	1	3-3	3
„დინამო“ თბ.	1	1	1	2-2	3
„დინამო“ კ.	1	1	1	1-1	3
„არარატი“	1	1	1	1-1	3
„ზარია“	1	1	1	1-3	3
„სპარტაკი“	1	0	2	1-2	2
„ზენიტი“	1	0	2	1-2	2
„კრ. სოვეტოვი“	0	2	1	3-5	2
„ლოკომოტივი“	0	1	2	0-2	1
„დინამო“ მნ.	0	1	2	0-3	1

კარგი სტარტი

გუშინ ქუთაისის „ტორპედო“ ჩაება „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში — ივი კრასნოდარის „აუბანს“ მასპინძლობდა.

ანგარიშით 2:1 (2:1) გაიმარჯვეს ქუთაისელებმა. ბურთები გამარჯვებულთაგან გიტანეს ქვირიამ (23-ე წუთზე) და ხუციოლავამ (34-ე წუთზე), რომელმაც მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო.

ᲕᲘᲓᲝᲙᲝᲑᲐ

ფინალური ჩოხეული

კატოვიცეში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე დამთავრდა წინასწარი მატჩები, რომლებშაც ფინალური ოთხეული გამოავლინეს. ესენი არიან ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდები (მათი შეხვედრა შაპაოს მოიგეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 3:2 — 1:0, 0:1, 2:1), აგრეთვე აშშ-ის (კვირას მოუგო გფრ-ის ნაკრებს — 5:1) და შვეიციის ჰოკეისტები, რომლებმაც გუშინ პოლონელებთან შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

გუშინ გაიმართა კიდევ ორი მატჩი: ჩეხოსლოვაკია — გფრ (9:1) და სსრ კავშირი — აშშ. ეს თამაში გვიანობამდე გრძელდებოდა.

ᲐᲮᲚᲘᲓᲐ

წყალბურთი. კიევში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ ზედიზედ წაგო ორი თამაში — ალმა-ათის „დინამოსთან“ — 3:4 და მოსკოველ მეზღვაურებთან — 3:7. კიევის „დინამომ“ მოუგო სპორტკლუბ „მოსკვიჩს“ — 5:4, ბაქოს მეზღვაურთან გუნდმა — ვოლგოგრადის „სპარტაკს“ — 6:5.

ციგურაობი. ალმა-ათის საცეკვაო „მედიოზე“ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა. სპორტსაზოგადოებებს შორის უძლიერესი იყო „ბურევესტნიკი“.

ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ. იუგოსლავიის ქალაქ ვინკოვციში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვეს დიდოსტატებმა ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და საკსმა (უნგრეთი) — 10,5 ქულა თვითეულს. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ბოლუგაევსკიმ (სსრ კავშირი) და ტრინგოვმა (ბულგარეთი) — ათ-ათი ქულა.

ᲢᲐᲜᲒᲐᲠᲐᲯᲘᲗ. ბრაღაში გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩი. ანგარიშით 575,4:559,2 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. პირადი ჩათვლაში საუკეთესო იყო ვლადიმერ მარჩენკო — 115,0 ქულა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

— ამხ. ა. ი. მგელაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ;

— ამხ. ა. ი. კოპლატაძე საქართველოს სსრ მშენებლობის მინიმინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

— ამხ. ვ. გ. ნონელიძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა საშუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

— ამხ. ე. დ. მაჩაბელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.



გუშინ. 19 აპრილს ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში გაიხსნა IX საკავშირო კინოფესტივალი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ითხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ძიძიგურს, რომელიც ფესტივალზე ქართველ კინემატოგრაფისტთა დელეგაციას ხელმძღვანელობს. აი რა თქვა მან:

— ფესტივალი უაღრესად მასშტაბურია. მის მუშაობაში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის და ყველა მოძმე რესპუბლიკის კინოსტუდიები. საკონკურსოდ შერჩეულია 30 მხატვრული და მრავალი დოკუმენტური, მულტიპლიკაციური ფილმები.

ყველა საკავშირო კინოფესტივალზე — მოსკოვში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ბაქოში, კიშინიოვში თუ სხვაგან ქართული ფილმებს ღირსეული წარმატება მოუპოვებიათ და ქართული კინოს მაღალი პრესტიჟი დაუცავთ.

ამჯერად საკონკურსოდ ნაჩვენები იქნება რეჟისორ ნანა ჭიდლიძის ფილმი „პირველი მერცხალი“. ამ სურათში თეირანში საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზი მოიპოვა. კონკურსზე წარვადგენთ აგრეთვე დოკუმენტური ფილმს „ბამს“ (რეჟისორი ვ. მიქელაძე), მულტიპლიკაციურ სურათს „სტუმარს“ (რეჟისორი ო. ანდრონიკაშვილი).

კონკურსგარეშე ჩვენებისათვის შევარჩიეთ მხატვრული ფილმი „დუბატიუეველი სტუმარი“.

მეცხრე საკავშირო კინოფესტივალზე საათები უკვე ჩაირთო და კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კინოს გამოჩენილი ოსტატები, მუშაობას შეუდგა. საქართველოდან ჟიურის წევრია კინორეჟისორი გ. მგელაძე.

ვფიქრობ, რომ ფესტივალი ფრუნზეში საბჭოთა კინოს დღესასწაულად გადაიქცევა.



საბჭოთა კინოს აღლუმი

გუშინ ფრუნზეში ალიმართა IX საკავშირო კინოფესტივალის ალამი

ᲣᲜᲒᲠᲔᲚ მეგობართა დახმარებით

თბილისის ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე კაპიტალური რემონტის შემდეგ გაიხსნა ორჯონიკიძის რაიონსათვის ბრძანება № 12 თვითმმართველობის გასტრონომიული მაღაზია.

მაღაზიის გაფორმებაში, — გვეუბნება ორჯონიკიძის რაიონის სურსათვაჭრობის დირექტორი ნ. წიქარიშვილი,—მონაწილეობა მიიღეს ცნობილი უნგრული ფირმის „ტრანსელექტროს“ სპეციალისტებმა, რომლებმაც დაამონტაჟეს სხვადასხვა თანამედროვე გვრმეტიული სამაცივრო დანადგარები, მათ შორის ევროპაში განთქმული „მარკეზის“ მარკის სამაცივრო დანადგარები. მაღაზიის ინტერიერის გაფორმებაში გამოყენებულია დეკორაციული უნგრული ტიპის ელექტრორეკლამა.

მაღაზიას აქვს კეთილმოწყობილი ბავშვთა კვების პროდუქტების განყოფილება, გასტრონომიული, საკონდატრო და სხვა სავაჭრო სექციები.

ეს მაღაზია ერთ-ერთი საუკეთესოა ორჯონიკიძის სურსათვაჭრობის სისტემაში, რომლის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ შეინარჩუნოს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიღებული საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

სურათზე: ახალი სასურსათო მაღაზიის ერთ-ერთი განყოფილება.

ხ. პილაძის ფოტო და ტექსტი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „საყვარელი ლექსები“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ყველა სამხილი მის წინააღმდეგ“, 16.30 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 17.00 — კინონარკვევი, 17.55 — განცხადებები, 18.45 — „ცეროდენას ეკრანი“, 19.00 — „შეჯიბრებაში გამარჯვებულნი“, 19.15 — კონცერტი, 19.45 — სპორტული მიმოხილვა, 20.10 — ვ. ლებანიძის საავტორო საღამო, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საეტრადო პანორამა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — დღეს ჭადრაკის სასახლეში, 22.35 — სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში I ლიგის გუნდებს შორის: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 19 აპრილის მატჩის ვიდეოჩანაწერი; 2. ევროპის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — VIII კლასელთათვის — გეომეტრია, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვის ქვა“, 19.05 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთათვის—პოლიტეკონომია, 20.55 — დოკუმენტური ფილმი „მიხაკები შეყვარებულებს სჭირდებათ“.



21 აპრილი

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — რ. თავდორაძე — სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ვ. ოვჩინიკოვი — პირველი სიმფონია, 11.45 — „ვლადიმერ ლენინს — საყვარელ ბელადს!“ ქართველი პოეტების ლექსები, 12.10 — ახალგაზრდობისათვის — „როცა ახალგაზრდა ცხოვრობ“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.45 — ნ. სულხანიშვილი — სიმღერები, 14.00 — კონცერტი ი. შტრაუსის ნაწარმოებებიდან, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ა. ბალანჩივაძე ფრაგმენტები ბალეტიდან „ცხოვრების ფურცლები“, 18.45 — ვ. ხოლოვიოვ-სედოი — სიმღერები, 19.00 — საუბარი „რეგიონურ დღესასწაულთა რეაქციული არსი“, 20.20 — მუსიკა საორკესტრო პიესები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ — ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.50 — ვ. პაუსტოვსკი — „ფარაჯიანი მოხუცი“ რადიოდრამა, 23.30 — ა. პახმუტოვა — სიმღერები.



20 აპრილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — Უ